ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.05.2017

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/17

შეკითხვა:

2010 წელს სისხლის სამართლის საქმეზე სადაც 3 პირი იყო მიცემული სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში სსკ-ის 182-ე მუხლის 3-ე ნაწილით მე ვიცავდი 2 პირის ინტერესებს. სახელმწიფო ბრალდება მესამე პირის აღიარებას იყენებდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფების მიმართ როგორც ბრალდების მტკიცებულებას, თუმცა ფაქტობრივ გარემოებებზე ამ მესამე პირს ჩვენება არ ჰქონდა მიცემული, მხოლოდ აღიარებდა დანაშაულს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები დანაშაულს არ აღიარებდნენ. სამივე პირს ჰქონდა შეფარდებული პატიმრობა. შემდგომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებმაც აღიარეს დანაშაული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ჩვენებების მიცემის გარეშე და როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ 2 პირს ისე მესამე პირსაც შეეცვალათ აღკვეთი ღონისძიება პატიმრობა გირაოთი. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს შეეფარდათ ერთობლივად 500 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ასეთი იყო პროკურატურის მოთხოვნა, ხოლო მესამე პირს 20 000 ლარი.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებმა სასამართლოში საქმის გადაგზავნის შემდგომ სასამართლოზე განაცხადეს, რომ თავს ცნობენ უდანასაულოდ და არიან პოლიტიკური დევნის მსხვერპლნი. მათ 2011 წელს დატოვეს საქართველო და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიღეს პოლიტიკური თავშესაფარი. ისინი დაუსწრებლად გასამართლდნენ და მიესაჯათ 10-10 წელი თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა 1 100 000 ლარის ოდენობით.

მესამე პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე პროკურორის შუამდგომლობით გამოიყო ცალკე წარმოებად, რომლის განხილვაც 8-ე წელიწადია არც კი დაწყებულა.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომ მესამე პირმაც ასევე თავი ცნო უდანაშაულოდ და არაერთი საჩივრით მიმართა მთავარ პროკურორს, რომ ის უკანონოდ არის მიცემული პასუხისგებაში და მის მიმართ ზეწოლით იქნა მიღებული აღიარება და რომ ის ასევე გახდა მსხვერპლი პოლიტიკური დევნისა ვინაიდან წინა ხელისუფლებას გააჩნდა პირადი ანგარიშსწორების დაინტერესება იმ ორი პირის მიმართ, რომელთაც მიესაჯათ 10-10 წელი და კოლოსალური ჯარიმა. ეს მესამე პირი მოითხოვს მის საქმეზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი პროკურორის პასუხისგებაში მიცემას, რომელიც დღემდე აგრძელებს ამ საქმის წარმოებას, ვინაიდან სწორედ ეს პროკურორი ახორციელებდა მასზე ზეწოლას.

ამ მესამე პირმა ეხლა მომმართა მე და მთხოვა გავუწიო საადვოკატო მომსახურეობა და დავიცვა მისი ინტერესები, ვინაიდან ირღვევა მისი უფლებები 8 წელია პროკურორი შეგნებულად აჭიანურებს საქმის განხილვას, მოითხოვს მისგან, რომ აღიაროს დანაშაული, რაზეც ეს პირი კატეგორიულ უარს აცხადებს და ითხოვს მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებისა და ამ პირის ინტერესები სრულ თანხვედრაშია დღეისათვის და როგორც მსხვერპლები უკანონო დევნისა ერთობლივად მიმართეს მთავარ პროკურატურას საჩივრით და საქართველოს პარლამენტს, რომელმაც ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის ე. ბესელიას 2013 წლის წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, რომ აღნიშნულ საქმეზე შეინიშნება პოლიტიკური დევნისა და ადამიანის უფლებათა ხელყოფის ნიშნები და მოსთხოვეს გამოძიების ჩატარება, თუმცა პროკურატურაში დღემდი რეაგირება არ მოუხდენიათ.

მესამე პირს, რომლის საქმის განხილვაც 8 წლის განმავლობაში სასამართლოში არ დაწყებულა მე მივეცი რეკომენდაცია მოსამართლის მიერ საქმის განხილვის გაჭიანურების გამო მიემართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, რამაც შედეგი გამოიღო და სასამართლომ 2017 წლის 30 მარტს დანიშნა პირველად საქმის განხილვა, მაგრამ პროცესის გაუხსნელად გადადო მოსამართლის სათათბიროში ყოფნის მოტივით, 1 მაისის სხდომა გადაიდო პროკურორის გამოუცხადებლობის გამო, 2 მაისის სხდომა მოსამართლის სათათბიროში ყოფნის გამო, ხოლო 10 მაისის სხდომა დაიწყო 40 წუთის დაგვიანებით და გადაიდო იმ მოტივით, რომ პროკურორს ეწყებოდა სხვა პროცესი. პროკურორმა შეიტანა წერილობით შუამდგომლობა სასამართლოში ჩემი აცილების შესახებ სსსკ-ის 60-ე მუხლის ,,ბ“ პუნქტით ,,იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს;“ (1998 წლის ძველი რედაქციით 107-ე მუხლის ,,დ“ პუნქტი დ) იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ან წინათ უწევდა პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის ინტერესებს, რომლის წარმომადგენელიც ის არის;)

თუმცა ბრალდებული კატეგორიულად მოითხოვს, რომ მე დავიცვა მისი ინტერესები, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს მასსა და ჩემი ყოფილი დაცვის ქვეშ მყოფების ინტერესებს შორის და რომ პირიქით სამივე არიან უკანონო დევნის მსხვერპლნი და რომ სწორედ მათი ინტერესების დასაცავად არის მნიშვნელოვანი, რომ მე დავიცვა მისი ინტერესები. ბრალდებული განმარტავს, რომ პროკურიორს არ აწყობს საქმეში ადვოკატ ინგა არახამიას მონაწილეობა, რადგან ინგა არახამია იბრძვის მისი გამართლებისათვის, რაც დღეისათვის არის თავად ბრალდებულის კატეგორიული მოთხოვნა, ვინაიდან ის აცხადებს, რომ არის აბსოლუტურად უდანაშაულო და არავითარ შემთხვევაში არ აპირებს პროკურორის ზეწოლის გამო დანაშაულის აღიარებას.

პატივისცემით გთხოვთ, გამიწიოთ რეკომენდაცია ადვოკატთა შესახებ კანონის, ეთიკის კოდექსისა და სსსკ-ის 60-ე მუხლის ,,ბ“ პუნქტის ,,იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის

ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს;“ (1998 წლის ძველი რედაქციით 107-ე მუხლის ,,დ“ პუნქტი დ) იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ან წინათ უწევდა პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის ინტერესებს, რომლის წარმომადგენელიც ის არის) შესაბამისად შემიძლია თუ არა გავუწიო იურიდიული მომსახურეობა მესამე ბრალდებულს, მაშინ როდესაც ის ითხოვს აღნიშნულს კატეგორიულად და ჩემი ყოფილი დაცვის ქვეშ მყოფებსა და მას შორის არ არსებობს არავითარი წინააღმდეგობა და არც ასეთის წარმოშობის რისკი არსებობს, მათ ერთი საერთო ინტერესი გააჩნიათ და სამივე მიიჩნევს თავს უკანონო დევნის მსხვერპლად და ერთად იბრძვიან თავიანთი კანონიერი ინტერესების დასაცავად, სამივე მოითხოვს საქმეზე გამომსვლელი პროკურორისა და სხვა პირთა პასუხისმგებლობას იმ უკანონო ქმედებებისათვის, რომელსაც 2010 წლიდან დღემდე მათ მიმართ ქონდა ადგილი.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი:

„1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.

5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

დისციპლინური კოლეგია აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთ საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობა, თუ აღნიშნული კლიენტების ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №015/10 მიუთითა: „კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ- ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს.“

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, მხარეებს შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან, როგორც მითითებულია ადვოკატის ორი კლიენტისა და მესამე პირის, მისი პოტენციური კლიენტის ინტერესები ამ ეტაპზე თანხვედრაშია. მესამე პირმა თავი ცნო უდანაშაულოდ და არაერთი საჩივრით მიმართა მთავარ პროკურორს, რომ ის უკანონოდ არის მიცემული პასუხისგებაში და მის მიმართ ზეწოლით იქნა მიღებული აღიარება. დანაშაულს, ასევე, არ აღიარებენ ადვოკატის კლიენტები, ორი სხვა ბრალდებული და ერთი მოთხოვნით მიმართავენ შესაბამის ორგანოებს.

ადვოკატმა, ხშირ შემთხვევაში, თავად უნდა განსაზღვროს როდის არის შესაძლებელი რომ წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე. ეს არის ადვოკატის პროფესიული რისკი. იმ შემთხვევაში თუ იგი ხედავს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საფრთხე, ეთიკის კოდექსი ავალდებულებს მას შეწყვიტოს პროფესიული ურთიერთობა კლიენტებთან. აღნიშნული ვრცელდება მოცემულ სიტუაციაშიც - ადვოკატმა, რომელიც მის საქმესთან დაკავშირებით ყველაზე მეტად ფლობს ინფორმაციას, გონივრულად უნდა შეაფასოს კლიენტების პოზიცია და ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო წარმოქმნის საფრთხე.

დისციპლინური კოლეგია, რეკომენდაციის გაცემისას აღნიშნავს, რომ ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს წინასწარ, ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო წარმოქმნამდე გააფრთხილოს მისი კლიენტები, კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან მათი მომსახურების შეწყვეტის გარდაუვლობის შესახებ. ასეთი ქმედებით ადვოკატი თავიდან აიცილებს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას და მის კლიენტებს მისცემს საშუალებას წინასწარ მოემზადონ საკუთარი უფლებების დასაცავად სხვა ადვოკატისათვის მიმართვისათვის, თუკი წარმოიქმნება მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი. ასეთი შემთხვევებისას შესაძლებელია განმარტება წერილობითი სახელშეკრულებო ფორმით ჩამოყალიბდეს.

დასკვნა:

შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, მხარეებს შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან, როგორც მითითებულია ადვოკატის ორი კლიენტისა და მესამე პირის, მისი პოტენციური კლიენტის ინტერესები ამ ეტაპზე თანხვედრაშია. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატთან სახელშეკრულებო ურთიერთბაში მყოფ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე, ადვოკატი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, ვალდებულია შეწყვიტოს მათი წარმომადგენლობა.

რეკომენდირებულია, ადვოკატმა წინასწარ, ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო წარმოქმნამდე გააფრთხილოს მისი კლიენტები, კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან მათი მომსახურების შეწყვეტის გარდაუვლობის შესახებ, რაც კლიენტებს მისცემს საშუალებას წინასწარ მოემზადონ საკუთარი უფლებების დასაცავად სხვა ადვოკატისათვის მიმართვისათვის, თუკი წარმოიქმნება მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი. ასეთი შემთხვევებისას შესაძლებელია განმარტება წერილობითი სახელშეკრულებო ფორმით ჩამოყალიბდეს.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/